სამშენებლო საქმიანობათა ექსპერტთა კავშირი
UNION OF BUILDING AFFAIRS EXPERTS

საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16
ტელ: 238 39 37
ელ.ფოსტა: geokonsti@gmail.com

16., Vaja-Pshavela ave., Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 238 39 37
e-mail: geokonsti@gmail.com

№ 3-ე

ივლისი 2021წ.

ქ.თბილისი, ელგუჯა ამაშუკელის ქ. №14-ში არსებული გაზგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ბენზინ-დიზელის სადგურის მოწყობისა და მიწისქვეშა რეზერვუარების განთავსების შედეგად მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზემოქმედების დადგენა

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

სამშენებლო სამქიანობათა ექსპერტთა კავშირ ააიპ "გეოკონსტი"-სა და შპს "GLG Group"-ს შორის 2021 წლის 9 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩატარდა კვლევითი საექსპერტო სამუშაოები იმის დასადგენად, მოახდენს თუ არა ზემოქმედებას ქ.თბილისში ე.ამაშუკელის ქ.№14-ში არსებული გაზგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ბენზინ-დიზელის სადგურის მოწყობა და მიწისქვეშა რეზერვუარების განთავსება მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე.

აღნიშნული დასკვნის მომზადებაში მონაწილე ექსპერტს, რომლისთვისაც ცნობილია ექსპერტის უფლება-მოვალეობანი, გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია და პროფესიული განათლება.

ვილენ კასრაძე – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი

დანართი: საექსპერტო დასკვნა

თავმჯდომარის მ/შ
"მესა"-ს წევრი როინ სადრაძე

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ელ.ამაშუკელის ქ. N14–ში არსებულ გაზგასამართ სადგურზე ბენზინ–დიზელის სადგურის მოწყობისათვის, მიწისქვეშა რეზერვუარის განთავსებისათვის, მიწისქვეშა რეზერვუარის განთავსების და ფარდულის მშენებლობის შესაძლო

ზეგავლენა მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე

შპს „GLG-GROUP“-ის (ს/კ404957187) დავალების საფუძველზე ჩემს მიერ ექსპერტიზა ჩაუტარდა ქ.თბილისში, ელ. ამაშუკელის ქ. #14–ში არსებულ გაზგასამართ სადგურზე ბენზინ–დიზელის სადგურის მოწყობისათვის, მიწისქვეშა რეზერვუარის განთავსების და ფარდულის მშენებლობის შესაძლო ზეგავლენაზე მომიჯნავე შენობა–ნაგებობებზე.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია შემდეგი მასალა:

1. ქ. თბილისში ს/კ 01.14.15.001.213 შპს „GLG-GROUP“ (ს/ნ 404957187) საკუთრებაში არსებული 113,00კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიის არსებული გენ–გეგმა და არსებულ გაზგასამართ სადგურზე ბენზინ–დიზელის სადგურის მოწყობისათვის, მიწისქვეშა რეზერვუარის განთავსების და ფარდულის პროექტი (შპს „ინტეგრა“ ს/კ405061454, საქართველო, ქ.თბილისი, ჟ. შარტავას 14ა, დირექტორი – გ. ბარამიძე);
2. ქ. თბილისი, ელ. ამაშუკელის ქ. N14–ში არსებულ გაზგასამართ სადგურზე ბენზინ–დიზელის სადგურის მოწყობისათვის, მიწისქვეშა რეზერვუარის განთავსებისთვის და ფარდულის მშენებლობისთვის საინჟინრო–გეოლოგიური დასკვნა (ი.მ. მ.კვარაცხელია, 2021წ.);
3. შპს „რეალექსპერტი“ ინსექტირების ორგანო.

ინსპექტირების ანგარიში №R-E. TP.G04.FA.53.20, 27.01.2020წ.

ინსპექტირების ობიექტი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, ინტერსიფიკაციის ქუჩა (ს/კ 01.14.15.001.213) გაზგასამართი სადგური. შემსრულებელი ინსპექტორი – ვახტანგ ციტაიშვილი, ტექნიკური მენეჯერი – ვახტანგ ციტაიშვილი;

4. თბილისის არქიტექტურა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური გადაწყვეტილება N5475199, გაცემის თარიღი 28/06/2021 წელი;

5. საექსპერტო შეფასება ანგარიშზე „ქ.თბილისში, ნუცუბიძის პლატოსა და ვაშლიჯვრის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ს/კ01.14.15.001.324) მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო–გეოლოგიური კვლევის შედეგები“.;

2017 წლის თებერვალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე–საძირკვლების მიმართულების ხელმძღვანელი, ტექნიკური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჭოხონელიძე.

6. ქ. თბილისში, ნუცუბიძე–ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 01/324, ათსართულიანი საცხოვრებელი სახლის (ს/კ01.14.15.001.324) მშენებლოსთვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო–გეოლოგიური კვლევის შედეგები. შპს „არე აპარტამენტები“, დირექტორი – ლ. ლალიაშვილი, ინჟინერ–გეოლოგი – რ. მიქაუტაძე;

7. ქ. თბილისი, ნუცუბიძე–ვაშლიჯვარის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 01/324, მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი სპორტული დარბაზით (ს/კ 01.14.15.001.324) პროექტის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო დასკვნა, 27.12.2017 წელი

ექსპერტი – ინჟინერი – ლ.ნიკოლაიშვილი;

8. საექსპერტო შეფასება ანგარიშზე „ქ. თბილისი, ნუცუბიძე–ვაშლიჯვარის დამაკავშირებელი გზით მიმდებარედ, ნაკვეთში N01.15.001.226.001.249–ში მრავალბინიანი სახლის პროექტი. საინჟინრო–გეოლოგიური კვლევის ანგარიში“. 2017 წლის თებერვალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე–საძირკვლების მიმართულების ხელმძღვანელი, ტექნიკური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ.ჭოხონელიძე;

9. შპს „დიდგორი–2011“, საქართველო, ქ.თბილისი, სოფელი დიღომი, ს/კ404901111. ქ. თბილისი, ნუცუბიძე–ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 01/226, მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი სპორტული დარბაზით

პროექტის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო შეფასება, 2017 წელი, ექსპერტი ინჟინერი – ზ. სილაგაძე;

10. არ არის წარმოდგენილი გაზგასამართი სადგურის მუშა პროექტი. საექსპერტო დასკვნა დამუშავებულია ზემოთმითითებული მასალების შესწავლის და გაანალიზების საფუძველზე.

გაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის პროექტი ითვალისწინებს არსებულ შენობაზე ბენზინ–დიზელის სადგურის მოწყობას, მიწისქვეშა რეზერვუარის განთავსებით და ფარდულის აგებით.

საპროექტო შენობის ქვეშ ფუძედ მიღებულია არგილიტები, რომლის პირობითი საანგარიშო წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე Ro = 130 კვმ/სმ^2 ტოლია, ძირითადი ქანები (ინსპექტირების ანგარიში №R-E.TP.GO4.FA.53.20) საპროექტო შენობის საძირკვლებს წარმოადგენს მონოლითური რკინა–ბეტონის ბურღვით ნატენი ხიმინჯები დიამეტრით D=600მმ და სიგრძით L=8,0მ. მონოლითური რკინა–ბეტონის ბურღვით ნატენი ხიმინჯები ერთმანეთთან იკვრება მონოლითური რკინა–ბეტონის საძირკვლის კოჭებით, რომლის განივი კვეთის ზომებია b x h = 400 x 600 მმ.

საპროექტო შენობის მზიდუნარიანობა გადაწყვეტილია ლითონის კონსტრუქციების სივრცითი კარკასის შექმნით, რომელიც წარმოადგენს ლითონის სვეტების და რიგელების ერთობლიობას:

- სვეტები, ლითონის მილი D=200მმ, სისქით 6მმ;
- რიგელები, ლითონის მილკვადრატები განივი კვეთით B x h = 200 x 200მმ, სისქით 5მმ;
- გრძივები, ლითონის მილკვადრატები განივი კვეთით b x h = 80 x 160მმ, სისქით 5მმ;

ბენზინ გასამართი სადგურისთვის გათვალისწინებულია მონოლითური რკინაბეტონის მიწისქვეშა რეზერვუარი, გეგმაში მართკუთხის ფორმის გაბარიტული ზომებით a x b = 5.48 x 5.896მ. რეზერვუარის სიღრმე h=6.063–ის ტოლია. რეზერვუარის ძირი წარმოადგენს მონოლითური რკინა–ბეტონის ფილას, რომლსი სისქე h=400 მმ–ს საძირკველი ტოლია, ხოლო კედლების სისქე h=300მმ–ის ტოლია.

რკინა–ბეტონის საძირკველის ფილა ეყრდნობა მონოლითური რკინა–ბეტონის ტუმბოებს, რომელთა განივი კვეთი

a x b = 1500 x 2000 მმ–ის ტოლია, ხოლო სიღრმეა h=3.0მ.

სამშენებლო ტერიტორია პნ 01.01–09 „სეისმომედეგი მშენებლობა“ თანახმად მიეკუთვნება 8–ბალიან სეისმურ ზონას. საპროექტო შენობის სივრცითი კარკასი და მისი ცალკეკული მზიდი ელემენტები გაანგარიშებულია მუდმივ და დროებით ვერტიკალურ დატვირთვებზე, აგრეთვე 8–ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 28/06/2021 №5475199 გადაწყვეტილების მე–12 მუხლში ითხოვს მომიჯნავე შენობა–ნაგებობაზე ზეგავლენის ანგარიშს, რომელიც მოიცავს მომიჯნავე შენობა–ნაგებობების არსებული მდგომარეობის ფიქსაციას და მათზე დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესაძლო ზემოქმედების ხარისხს.

I. მომიჯნავე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი სპორტული დარბაზით (ს/კ01.14.15.001.324).

საინჟინრო–გეოლოგიური კვლევის შედეგები (ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მასალების N6 დოკუმენტი).

უბნის ამგებ გრუნტებში, სამშენებლო თვისებების მიხედვით, სნ და წ 02.07.87–ის მე–10 დანართის თანახმად, უბანი მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის). უბნის ამგებ გრუნტებში, სამშენებლო თვისებების მიხედვით, ნაყარი გრუნტის (ფენა 1) ჩაუთვლელად, გამოყოფილია 3 საინჟინრო–გეოლოგიური ელემენტი (სგე):

I სგე – თიხნარი (ფენა 2) ;

II სგე – ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 3);

III სგე – ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 4).

უბნის გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე, დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს დაფუძნება ბურღვით–ნატენი საყრდენი ხიმინჯებით III სგე–ზე – ნაკლებად გამოფიტულ ძირითად ქანებზე (ფენა 4). ძირითადი ქანების ეროზიული ზედაპირის დახრის გამო, უბნის დასავლეთის მხარეს ხიმინჯები სნ და წ 2.02.03–ის, II.II პუნქტის თანახმად გრუნტში ჩაღრმავება უნდა იყოს არანაკლები 4 მეტრისა.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო დასკვნა.

(ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მასალების N7 დოკუმენტი).

სამშენებლო მოედანი მდებარეობს ლისის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ორი ამოვსებული ხევისა და მათი წყალგამყოფის ფარგლებში. ამიტომ ძირითადი ქანების დამარხულ რელიეფს უსწორმასწორო ზედაპირი აქვს. ტერიტორიის სამხრეთის ექსპოზიციის ციცაბო ფერდობით არის წარმოდგენილი, რომლის ზედა ნაწილი გზის გაყვანის დროს მოიჭრა. მოედნის აბსოლუტური ნიშნულები 571,03-563,53 მ–ის ფარგლებში მერყეობს. ძირითადი ქანების დახრის კუთხე 20^0–30^0 ფარგლებში მერყეობს, ხოლო აზიმუტი 170–175^0 და ფერდობის საერთო ექსპოზიციას ემთხვევა, რაც უარყოფითი მომენტია დაცურების თვალსაზრისით.

პროექტში დამუშავებულია ფერდის მოცურების საწინააღმდეგო ღონისძიება, დაანკერების სახით. D=1000მმ ბურღვა–დასატენი ხიმინჯები ჩაანკერებულია შესაძლო მოცურების სიბრტყიდან 5–6 მეტრით. ქვაბულის ძირის ნიშნული შეადგენს 571,5მ–ს, ხოლო ხიმინჯის საყრდენი ნაწილი კი 563,5 მ-ს. ხიმინჯების თავები დაკავშირებულია ერთმანეთთან რკინაბეტონის კოჭებით 1000x600(h)მმ.

შენობა მთლიანად დაფუძნებულია ძირითად ქანებზე.

II. მომიჯნავე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი სპორტული დარბაზით (ს/კ01.14.15.001.367).

საინჟინრო–გეოლოგიური კვლევის შეფასება (ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მასალების N8 დოკუმენტი).

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

ფენა 1 – ნაყარი გრუნტი;

ფენა 2 – სუსტად გამოფიტული არგელიტებისა და ქვიშა–ქვების მორიგეობა.

მოცემულია ძირითადი ქანების, არგილიტებისა და ქვიშა–ქვების საინჟინრო–გეოლოგიური დახასიათება. ვინაიდან შენობა შენდება ფერდობზე, განსაკუთრებულად დეტალურადაა გამოკვლეული ქანების ნაპრალიანობა და ქანების შესაძლო დაცურება. ჩატარნებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე. ავტორი იძლევა წინადადებას მომავალი შენობის ფუძე–გრუნტების შერჩევის თაობაზე. გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო დასკვნა.

(ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მასალების N9 დოკუმენტი).

სამშენებლო მოედანი მდებარეობს ლისის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ორი ამოვსებული ხევისა და მათი წყალგამყოფის ფარგლებში. ამიტომ ძირითადი ქანების დამარხულ რელიეფს უსწორმასწორო ზედაპირი აქვს. ტერიტორიის რელიეფი სამხრეთის ექსპოზიციის ციცაბო ფერდობით არის წარმოდგენილი, რომლის ზედა ნაწილი გზის გაყვანის დროს მოიჭრა და ფერდობის ნაწილზე დაიყარა. მოედნის აბსოლუტური ნიშნულები 579,0-574,5 მ–ის ფარგლებში მერყეობს. ძირითადი ქანების დახრის კუთხე 20^0–30^0–ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო აზიმუტი 170^0–175^0 და ფერდობის საერთო ექსპოზიციას ემთხვევა, რაც უარყოფითი მომენტია მოცურების თვალსაზრისით.

პროექტში დამუშავებულია ფერდის მოცურების საწინააღმდეგო ღონისძიება დაანკერების სახით. D=1000მმ ბურღვა–დასატენი ხიმინჯები ჩაანკერებულია შესაძლო მოცურების სიბრტყიდან 3–4 მ–ით. ქვაბულის ძირის ნიშნული შეადგენს

569,2მ–ს, ხოლო ხიმინჯის საყრდენი ნიშნული კი 565,2მ–ს, ხიმინჯის თავები დაკავშირებულია ერთმანეთთან რკინა–ბეტონის კოჭებით 1000x600 (h)მმ.

საპროექტო შენობა მთლიანად დაფუძნებულია ძირითად ქანებზე.

დასკვნა

გაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებულია არსებულ შენობაზე ბენზინ–დიზელის სადგურის მოწყობა. ბენზინ–დიზელის სადგური შედგება მიწისქვეშა რეზერვუარისგან და ფარდულისგან.

მიწისქვეშა რეზერვუარი სწორკუთხა, გაბარიტული ზომებით 5,48 x 5,896 მ, სიღრმით 6,063მ, გადაწყვეტილია მონოლითურ ბეტონში. კედლების სისქეა 300მმ, ხოლო ძირის ფილის სისქეა, 400მმ ძირის ფილა ეყრდნობა მონოლითური რკინაბეტონის ტუმბოებს, რომელთა განივი კვეთი a x b = 1500 x 2000 მმ–ის ტოლია, ხოლო სიღრმეა h=3.0მ.

ფარდული კონსტრუქციულად გადაწყვეტილია ლითონის სივრცით კარკასში, ხოლო მის საძირკვლებს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ბურღვით–ნატენი ხიმინჯები დიამეტრით D=600მმ და სიგრძით L=8მ. მონოლითური რკინაბეტონის ბურღვა–ნატენი ხიმინჯები ერთმანეთთან გადაბმულია მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის კოჭებით, რომლის განივი კვეთის ზომებია B x h = 400 x 600 მმ. საპროექტო შენობის ქვეშ ფუძედ მიღებულია არგილიტები, რომლის პირობითი საანგარიშო წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე R_0=130კგმ/სმ^2 ტოლია და წარმოადგენს ძირითად ქანებს.

შენობიდან მოსული დატვირთვა, ხიმინჯების საშუალებით, გადაცემა უშუალოდ ძირითად ქანებს და არ ამძიმებს გრუნტის იმ ნაწილს, რომელიც განთავსებულია შესაძლო მოცურების სიბრტყის ზემოთ, და ვერ მოახდენს უარყოფით გავლენას მეზობელ სახლებზე. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ხიმინჯები იქნება ჩაღრმავებული ძირითად ქანებში არანაკლები 4 მეტრისა და შეასრულებენ ანკერების როლს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ვასკვნი, რომ არსებულ გაზგასამართ სადგურზე ბენზინ–დიზელ სადგურის მშენებლობა არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას მეზობელ შენობებზე (ს/კ 01.14.15.001.324 და ს/კ01.14.15.001.367).

რაც შეეხება მეზობელ შენობებს, ორივე აშენებულია შესაძლო მოცურების საწინააღმდეგო ღონისძიებებით (ხიმინჯების ჩაანკერებით ძირითად ქანებში არანაკლებ 4 მეტრის სიღრმეში) და მათ არაფერი ემუქრება.

ექსპერტი

ინჟინერ–კონსტრუქტორი: ვ. კასრაძე



ექსპერტობის კანდიდატის სარეგისტრაციო ფორმა

გვარი, სახელი	[illegible]	
პირადი №	01024025355	
საცხოვრებლის მისამართი	ქ. თბილისი, [illegible] №28 ბ-66	
საკონტაქტო ტელეფონი	236-26-45 593 334 546	
ელ-ფოსტა		
საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული ობიექტის დასახელება და მისამართი	ქ. თბილისი, [illegible]	
საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული სახეობა	[illegible]	
საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების ნაწილები	ფუძეების, სამირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება	
შემთანხმებელ ორგანოში წარსადგენი დოკუმენტები	ა) პირადობის მოწმობის ასლი;	
	ბ) პირადი ინფორმაცია (CV);	
	გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, სერტიფიკატები);	
	დ) ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ;	
	ე) დადასტურებული/დამოწმებული ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ, ობიექტის დასახელების და მისამართის მითითებით;	
	ვ) ექსპერტობის კანდიდატის დეკლარაცია, მოწოდებული ინფორმაციის სისწორის შესახებ.	
ხელმოწერა	[illegible]	
თარიღი		

დიპლომი

Н № 676387

ეს დიპლომი მიეცა ვილენ
გიორგის ძე კასრაძეს
მასზე, რომ იგი 1955 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის
სახ. საქ. შრომის წითელი დროშის
ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1960 წელს დაამთავრა აღნიშნული
ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით „სამთო საწარმოთა
მშენებლობა“
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1960 წ.
„11“ ივლისის გადაწყვეტილებით
ვ.გ. კასრაძეს მიენიჭა სამთო
ინჟინერ-შახტმშენებლის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

რექტორი (დირექტორი)

მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1960 წ. 12/VIII

სარეგისტრაციო № 3832

ДИПЛОМ

Н № 676387

Настоящий диплом выдан *Касрадзе Вилену Георгиевичу*
в том, что он в *1955* году
поступил в *Грузинский Ордена Трудового Красного Знамени политехнический институт им. В.И. Ленина*
и в 19*60* году окончил полный курс
названного *института*
по специальности *„Строительство горных предприятий“*

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „*11 июля*“ 19*60* г.
Касрадзе В.Г.
присвоена квалификация *Горного инженера-шахтостроителя*

Председатель Государственной
экзаменационной комиссии

Ректор (директор)

Секретарь

М. П.

Город *Тбилиси 12/VIII 1960*

Регистрационный № *3832*

Московская типография Гознака. 1958.

საქართველოს მოქალაქის
რეგისტრაციის მოწმობა ა 331127

ძალაშია პირადობის მოწმობასთან ერთად

სახელი ვილენ

გვარი კასრაძე

პირადი № 01024025355

მისამართი: თბილისი, ბახტრიონის, 28, ბ. 66

საქართველოს რესპუბლიკა
მოქალაქის პირადობის მოწმობა



№ 01024025355

ვილენ

გვარი კასრაძე

დაბადების თარიღი 12.06.1936წ

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება -----

№ ბ 0213306

პირადი ხელმოწერა

რეგისტრაციის ორგანოს დასახელება

თბილისის საბურთალოს რ/ნის შ/ს სამმ-თ

თანამდებობის პირის ხელმოწერა

26 08 19 98

გაცემის თარიღი

თბილისის საბურთალოს რაიონის
შინაგან საქმეთა განყოფილება
[illegible]
5 03 1997 წ.
ხელმოწერა

მისამართი -----

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რ/ნის შ/საქმეთა სამმართველო

გაცემის თარიღი 26.08.98წ

მოქმედების ვადა უვადო

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა

ვილენ კასრაძე

დაბადების თარიღი: 12.06.1936 - თბილისი, საქართველო.
ტელეფონის ნომერი: 593 33 45 40

განათლება

- 1955 – 1960 პოლიტექნიკური ინსტიტუტი - სამშენებლო ფაკულტეტი
- სპეციალობა - სამთო ინჟინერ-შახტმშენებელი

ენები

	საუბარი	კითხვა	წერა
რუსული	კარგი	კარგი	კარგი
ქართული	მშობლიური	მშობლიური	მშობლიური
ირანული	საშუალო	საშუალო	საშუალო
არაბული	საშუალო	საშუალო	საშუალო

სამუშაო გამოცდილება

2009 – დღემდე
სამშენებლო საქმიანობათა ექსპერტთა კავშირი „გეოკონსტი“- ს წევრი; ექსპერტი
1988 – 2004
„თბილზნიიეპი“
თანამდებობა: ტექნიკური განყოფილების უფროსი; მთ. ინჟინრის მოადგილე; მთავარი ინჟინერი; დირექტორის მოადგილე; შენობათა და ნაგებობათა რემონტისა და გამაგრების ლაბორატორიის ხელმძღვანელის მოადგილე; ინსტიტუტის აღდგენა-გაძლიერების ხელმძღვანელი
1985 – 1988
„თბილზნიიეპი“
მივლინება ავღანეთში
1976 – 1985
„თბილზნიიეპი“
თანამდებობა: მთავარი კონსტრუქტორი; მთავარი ინჟინერი; окпд - ს მთ. ინჟინერი; უფროსის მოადგილე
1972.10.15 – 1976
„თბილზნიიეპი“
მივლინება ირანში
1971.09.06 – 1972.10.15
„თბილზნიიეპი“
თანამდებობა: პროექტის მთავარი ინჟინერი; მტავარი კონსტრუქტორი;
1969 – 1971
„თბილზნიიეპი“
მივლინება მოსკოვში - მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეცფაკულტეტის სტუდენტი
1964– 1969
„თბილზნიიეპი“
თანამდებობა: უფროსი ინჟინერი; ჯგუფის უფროსი; პროექტის მთავარი კონსტრუქტორი;
1960 – 1964
„საქგიპრომშახტი“
თანამდებობა: საწარმოო განყოფილების დაპროექტების ინჟინერი